

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რას შეიძლება უდრიდეს არატოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრის შეფარდება მისი უდიდესი გვერდის სიგრძესთან?
 ა) 1,9 ბ) 3 გ) 2,4 დ) 3,1
14. რას უდრის კუთხე საათის ისრებს შორის 16 : 20 -ზე?
 ა) 5° ბ) 20° გ) 10° დ) 15°
15. a ნატურალური რიცხვი უნაშთოდ იყოფა 12-ზე. იპოვეთ მისი სამი, უდიდესი ნატურალური გამყოფის ჯამის შეფარდება a რიცხვთან.
 ა) $\frac{3}{2}$ ბ) 2 გ) $\frac{7}{6}$ დ) $\frac{11}{6}$
16. 1 გრამი ვერცხლის ფასი 20%-ით ხოლო 1 გრამი ოქროს ფასი 50% -ით გაიზარდა. რამდენჯერ ძვირია ახლა 2 გრამი ოქროს და 4 გრამი ვერცხლის ჯამური ფასი, ვიდრე იყო გამვირებამდე, თუ ცნობილია, რომ ფასების ცვლილებამდე ოქრო სამჯერ ძვირი იყო ვიდრე ვერცხლი.
 ა) 1,26 -ჯერ ბ) 2,17 -ჯერ გ) 1,28 -ჯერ დ) 1,38 -ჯერ
17. ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრი ტოლია 22 სმ-ის. იპოვეთ სამკუთხედის გვერდის და მისი პარალელური შუახაზის სიგრძეთა ჯამი.
 ა) 11 სმ ბ) 16,5 სმ გ) 16 სმ დ) 9,3 სმ
18. სამკუთხედის კუთხეების გრადუსული ზომები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2 : 9 : 7. იპოვეთ ამ სამკუთხედის უდიდესი კუთხის სიდიდე.
 ა) 86° ბ) 96° გ) 90° დ) 98°
19. სამკუთხედის ორ წვეროსთან მდებარე გარე კუთხეებია 107° და 141°. იპოვეთ მესამე წვეროსთან მდებარე შიგა კუთხის სიდიდე. ა) 78° ბ) 68° გ) 62° დ) 72°
20. A და B რიცხვითი სიმრავლეებია, $(A \cap B) \cup (A \setminus B) =$
 ა) \emptyset ბ) B გ) A დ) $A \cup B$

მოსწავლის სახელი, გვარი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20										

ქულა: _____